

კომერციული ბანკების მართვის ზოგიერთი თანამედროვე ტენდენცია

მაია გოგოხია

ასოციირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახ.

თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

maya.gogokhia@gmail.com

ბანკების საქმიანობაში თანამედროვე ეკაპისათვის ნიშანდობრივი ტენდენციები განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ისეთი პროცესებით, როგორცაა გლობალიზაცია, ასევე ბოლო პერიოდში განვითარებული მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ამასთან დაკავშირებით, სტატისტიკაში განხილულია საბანკო კაპიტალის კონსოლიდაციის ფაქტორები, ბაზელი IV – 2008-2009 წწ. კრიზისის საპასუხოდ, რისკმენეჯმენტი, რომლის ხოლი სუდ უფრო და უფრო იზრდება, აგრეთვე, ყუხადდება გამახვილებულია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მნიშვნელობაზე.

საკვანძო სიტყვები: საბანკო კონსოლიდაცია, რისკმენეჯმენტი, ბაზელი IV, დეპოზიტების დაზღვევა.

საბანკო კაპიტალის კონსოლიდაცია და ბაზელი IV

XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს გადაუარა უმსხვილესი ბანკების შერწყმა-გაერთიანებისა და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან კოოპერაციის უპრეცედენტო ტალღამ (კოვზანაძე, კონტრიძე, 2014, 79). დღეისათვის საერთაშორისო ფინანსური ბაზრის აქტიური მონაწილეები სწორედ მსხვილი ბანკებია. შერწყმისა და შთანთქმის გარიგებები - M&A (ინგლ. Mergers and Acquisitions) მსხვილი ბანკების ბიზნესის გაფართოების ერთ-ერთი პოპულარული სტრატეგიაა. შთანთქმა შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც საფონდო ბაზრის მიერ განხორციელებული გადარჩევის პროცესის ცენტრალური ელემენტი, ამასთან, განსხვავებული (ყველაზე მდგრადი და ეფექტიანი) კრიტერიუმის სახით შთანთქმულ და შთანთქმად კომპანიებს შორის, ყველაზე ცხადად წარმოჩინდება ფირმის სიდიდე და არა იმდენად - მომგებიანობის ნორმა ან საბაზრო შეფასება. არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ექვი კორპორატიული კონტროლის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაში (Hughes, Singh, 2008, 409).

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ბანკების შერწყმა (კონსოლიდაცია) საყოველთაო მოვლენა გახდა. კონსოლიდაციის ფაქტორი ყველაზე

მნიშვნელოვანია, რადგან მსხვილ ბანკებს აქვთ გაცილებით მეტი შესაძლებლობები გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოსაზიდად, მათ შორის - კაპიტალის მსოფლიო ბაზრებიდან.

საბანკო სექტორში გაერთიანების მთავარი მოტივია შესაძლო სინერგიული ეფექტი, რაც იმით გამოიხატება, რომ შერწყმის (ან შთანთქმის) შედეგად შექმნილი ბანკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები შეიძლება მნიშვნელოვად უკეთესი იყოს.

ცალკე მომენტია მსხვილი ბანკების ინტეგრაციის ეფექტიანობა, რამეთუ შერწყმის პროცესი არსებით ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს, ხოლო პოზიტიური ცვლილებები შეიძლება მაშინვე არ გამოვლინდეს. ეს განპირობებულია გაერთიანების პროცედურის უზარმაზარი ერთჯერადი დანახარჯებით, რაც კიდევ უფრო იზრდება სწრაფად მზარდი სტრუქტურების შემთხვევაში. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მსხვილი საბანკო შერწყმისა და შთანთქმის დაახლოებით 70%, თავდაპირველად, კაპიტალის უკუგების შემცირებას იწვევს.

2008-2009 წწ. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა განაპირობა საფინანსო სექტორში რეგულირებისა და ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტების სრულყოფის აუცილებლობა. ფინანსური კრიზისის ან მის წინმსწრებ პერიოდში ეკონომიკაში გაურკვევლობის ხარისხი იზრდება, ამიტომ უარი უნდა ითქვას საბანკო კაპიტალის ან ფინანსური რეზერვების შექმნაზე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და ბანკების მდგრადობისათვის. საქმე ისაა, რომ აღნიშნული პროცესები ვერ დაიცავს მათ დეფოლტისა და გაკოტრებისაგან. კრიზისის დროს პროდენციული ზედამხედველობა შესაძლებელია არაეფექტიანი აღმოჩნდეს, რადგან სავალდებულო ნორმატივების შეუსრულებლობა ხშირად არ არის დაკავშირებული არადაამკმაყოფილებელ მენეჯმენტსა და ბანკის ადმინისტრატორთა კანონსაწინააღმდეგო ქცევასთან.

საგარეო ფაქტორები აგრესიულია, რაც ვლინდება რისკების ზრდით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი გამოვლენა, პროგნოზირება, რეგულირება (მარეგულირებლის უნარი სწორად შეაფასოს და არეგულიროს „რისკისადმი აპეტიტის“ დონე). ზემოაღნიშნული შეიძლება ჩამოყალიბდეს სამი გზავნილის სახით: რისკი, რისკის მართვა, რისკზე ორიენტირებული ზედამხედველობა. 2014 წელს გამოქვეყნდა „ბაზელ IV“-ის გადასინჯული სტანდარტიზებული მიდგომა საბაზრო რისკისადმი, სადაც პირველადაა აქცენტი ფოკუსირებული აღნიშნულ გზავნილზე (Basel IV, 2014, 48).

მგრძნობელობაზე დაფუძნებული მეთოდის შესაბამისად, საკრედიტო, საოპერაციო, საპროცენტო და სხვა რისკებისათვის ჩამოყალიბდა საბანკო საქმიანობის ეფექტიანი მართვის ახალი კონცეფცია, რაც ახალ მოთხოვნებში აისახა (BIS. 2016, 92; BIS 2017, 162).

რისკმენეჯმენტი

რისკმენეჯმენტში მთავარ როლს ფაქტორული მხარის მართვის მეთოდები ასრულებს. სპეკულაციური რისკი, ანუ რისკშანსები დიდი ხანია გახდა მეცნიერთა და რისკმენეჯმენტის სპეციალისტების ყურადღების ობიექტი, განსაკუთრებით ვინც ინვესტიციების, საფონდო ბაზრის, საბანკო საქმის სფეროში მუშაობს. მათი პოზიციები ეფუძნება შეხედულებას, რომ სპეკულაციური რისკის ფორმირების საფუძველია გეპ-ები, ანუ სტრუქტურული დაბალანსება.

საბანკო რისკმენეჯმენტის სფეროში დღეისათვის ჩართულია შემდეგი სპეკულაციური რისკები: 1. საპროცენტო რისკი, დაკავშირებული საპროცენტო მარჟის მერყეობასთან; 2. სავალუტო რისკი, გამოწვეული იმ ვალუტათა კურსების მერყეობით, რომლითაც ბანკმა მოიზიდა და განათავსა რესურსები; 3. საფონდო რისკი, განპირობებული იმ ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მერყეობით, რომლითაც ფორმირებულია აქტივ/პასივები, აგრეთვე ამ ფასიანი ქაღალდების კოტირებების მერყეობასთან.

აღნიშნულთან ერთად, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს საბანკო რისკების საგარეო ფაქტორებზე, როგორცაა: საერთაშორისო ფინანსური რისკების თვითრეგულირების ფასისმიერი მექანიზმის ეფექტიანობის შემცირება; სისტემური რისკების გაზრდილი დონე, რაც განპირობებულია კაპიტალის თავისუფალი მიგრაციით, ზემოგების მიღებისაკენ სწრაფვა და საერთო ეკონომიკური არასტაბილურობა; სავალო ვალდებულებათა და ფიქტიური კაპიტალის მკვეთრი ზრდა. ამასთან, საერთაშორისო თანამეგობრობა მიისწრაფვის ფინანსური ბაზრების რეგულირების მექანიზმის შექმნისაკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული და საერთაშორისო მეთოდების ერთობლიობა - ფულადი კაპიტალის მოძრაობისა და საბანკო რეგულირების შეხამებით.

საბანკო რისკის რეალიზებამ შესაძლოა ფინანსური დანაკარგები და ბიზნესის ნეგატიური ცვლილებები გამოიწვიოს. ბანკებისათვის რეკომენდებულია იმ სტრესული სიტუაციების ნაკრების განსაზღვრაზე მიმართული რევერსული სტრესიტესტრების ჩატარება, რაც ბანკის მდგომარეობის სერიოზულ გაუარესებას გამოიწვევს (გოგობია, 2019).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დებულებების თანახმად, სტრესტესტირება პორტფელის მგრძობიარობის შეფასების მეთოდია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არსებითი ცვლილებებისადმი ან საგანგებო, თუმცა შესაძლო მოვლენებისადმი (Blaschke, Jones, Majnoni, Peria, 2001).

საერთაშორისო ანგარშსწორების ბანკი (BIS) კი სტრესტესტირებას განსაზღვრავს როგორც ტერმინს, რომელიც აღწერს სხვადასხვა მეთოდებს, რაც გამოიყენება ფინანსური ინსტიტუტების მიერ მათი მონაცვლა-

დობის შეფასებლად საგანგებო, მაგრამ შესაძლო მოვლენებისადმი (BIS, 2000).

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) ბოლო ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სტრესტესტირების მეთოდოლოგიის განვითარებაში ქვეყნების ეკონომიკების ფინანსური სექტორის შეფასების ფარგლებში (Financial Sector Assessment program - FSAP), ეს ორგანიზაცია რეგულარულად ატარებს სტრესტესტირებას.

ამგვარად, საბანკო სტანდარტიზაციის მთავარი ამოცანაა რისკების ეფექტიანი მართვა. რისკის შეფასების უტყუარობა და რეზულტატურობა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შეფასების განმახორციელებელ პირთა თუ ორგანიზაციათა მიდგომაზე. მათი დასკვნები შეიძლება განსხვავდებოდეს, იყოს წინააღმდეგობრივი ან ალტერნატიულიც კი.

რისკის თეორიების დებულებათა შესაბამისად, საბანკო სადეპოზიტო რისკი შეიძლება განვმარტოთ როგორც იმის ალბათობა, რომ კომერციული ბანკების სარესურსო ბაზის ფორმირება არ განხორციელდება ბანკის სადეპოზიტო პოლიტიკის შესაბამისად, ბანკის სარესურსო უზრუნველყოფა კი, არაადეკვატური აღმოჩნდება აქტიური ოპერაციების განხორციელების და ვალდებულებათა შესრულებისათვის. ამასთან, სადეპოზიტო რისკის ფაქტორებია: ბანკის კონტრაგენტების (მათ შორის მენაბრეების), საბანკო ოპერაციები, საკანონმდებლო და საზედამხედველო გარემო, კონკურენტული და საბაზრო გარემოს სიტუაციები.

ბანკის მოქნილი სადეპოზიტო პოლიტიკის განმსაზღვრელია არამხოლოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთები, არამედ, უსაფრთხოების გარანტიებიც. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ოფიაცილური დეპოზიტების დაზღვევის სისტემები.


მსოფლიოს ქვეყნების ხვედრით წონა, რომლებსაც ფაქტობრივად აქვთ დეპოზიტების დაზღვევა, გაზრდილია 2013 წლიდან, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში (იხ. გრაფიკი).

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ბოლო პერიოდში საქართველოშიც დაინერგა, თუმცა დანაზოგების სტიმულირებისა და ფულადი სახსრების დაზღვევის ფორმირებისათვის ეროვნული ვალუტით მნიშვნელოვნად მიგვარჩნია, დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში, ლარით დენომინირებული დეპოზიტებისათვის უსაფრთხოების უფრო მაღალი გარანტიების უზრუნველყოფა (დაზღვეული თანხის სიდიდე).

დასასრულ, დასკვნის სახით, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული რისკის ზრდა, ის მნიშვნელოვანი ტენდენციებია, რაც კიდევ უფრო მეტ გამოწვევებს უშაბდებს მარეგულირებლებს და საკუთრივ კომერციული ბანკის მენეჯმენტს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბანკების ეფექტიანი მართვა.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემათა განვრცობა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში

გრაფიკი



- გვიჩვენებს ზრდას 2013 წლიდან;
- გვიჩვენებს 2013 წლამდე არსებულ მდგომარეობას;
წყარო: World Bank 2019/2020. [www. Worldbank.org](http://www.Worldbank.org).

ლიტერატურა:

- კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. (2014). თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა
- Хьюз А. Сингх Э. (2008). Поглощения и фондовый рынок. В книге „Финансы“, пер с англ. Москва.
- Basel IV: (2014). Revised Standardized Approach for Market Risk. Increasing risk Sensitivity through the “Sensitivities –based Method”. PWC, 48p.
- Minimum Capital Requirements for Market Risk: Standards / Basel Committee on Banking Supervision – Basel: Bank For International Settlements, 2016, 92p.
- Basel III: Financing Post-crisis Reforms / Basel Committee on Banking Supervision – Basel: BIS, 2017, 162p.
- გოგობია მ. (2019). საქართველოს საერთაშორისო საბანკო ურთიერთობების რეგულირება ბაზელის შეთანხმების საფუძველზე. თსუ, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბ.,
- Blaschke W., Jones T., Majnoni G., Peria S-m. (2001). Stress Testing of Financial Systems: An Overview of Issues, Methodologies, and FSAP Experience// IMF Working Paper.
- Stress Testing by Large Financial Institutions: Current Practice and Aggregation Issues, BIS,2000.

References:

- Kovzanadze I., Kontridze G. (2014). *tanamedrove sabanko saqme: teoria da praqtika*. [Modern Banking Business: Theory and Practice. Tbilisi: Cezanne] (in Georgian).
- Hughes A., Singh A. (2008). *Pogloschenia i fondovi rinok* [Takeovers and The Stock Market (in "FINANCE", edited by Jhon Eatwell, Murry Milgate, Peter Newmenn). Transl. from English, Moscow (in Russian).
- Basel IV: (2014.) Revised Standardized Approach for Market Risk. Inverearing Risk Sensitivity through the "Sensitivities –based Method". PwC, 48p.
- Minimum Capital Requirements for Market Risk: Standards / Basel Committee on Banking Supervision – Basel: Bank for International Settlements, 2016, 92p.
- Basel III: (2017.) Financing Post-Crisis Reforms / Basel Committee on Banking Supervision – Basel: BIS, 162p.
- Gogokhia M. (2019). *saqartvelos saertashoriso sabanko urtiertobebis regulireba bazelis shetanxmebis safudzvelze*. [Regulation of International Banking Relations of Georgia Based on the Basel Agreement.] Ivane Javakhishvili Tbilisi State Unversity, Challenges of Globalization in Economics and Business, The International Scientific Conference, Tbilisi, Georgia. (in Georgian)
- Blaschke W., Jones T., Majnoni G., Peria S-m. (2001). *Stress Testing of Financial Systems: An Overview of Issues, Methodologies, and FSAP Experience*// IMF Working Paper.
- *Stress Testing by Large Financial Institutions: Current Practice and Aggregation Issues*, BIS,2000.

Some Modern Trends in the Management of Commercial Banks

Maya Gogokhia

Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

mayagogokhia@gmail.com

The scale of banks consolidation has taken on an unprecedented nature in recent decades. Large banks have much more opportunity to attract a long-term financial resources from the world capital markets, the qualitative and quantitative indicators of the bank created by the merger / absorption can be much better. On the other hand, absorption can be interpreted as a central element of the market-driven survival process, and the distinguishing criterion between absorbed or absorbing companies is the firm's size rather than the norm of profitability or market valuation.

The 2008-2009 global financial crisis has led to the need to improve international standards for regulation and supervision in the financial sector. In 2014, Basel IV's revised standardized approach to market risk was published,

focusing on three messages - 1. Risk; 2. Risk management; 3. Risk-oriented supervision.

In addition, the present paper focuses on the importance of stress-testing on the external factors of the banking system in the modern stage, speculative risks, deposit risk and the importance of the deposit insurance system as a determinant of banks' deposit policy.

The article also points out that the share of the world countries, including Georgia, that actually have deposit insurance has increased since 2013.

Keywords: Bank consolidation, risk management, Basel IV, deposit insurance

JEL Codes: G20, G21, G22, G28